საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ოთარ კაჭკაჭაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ინგა ბერიძე – კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ქ. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 08.12.2021

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 091/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ტ. ა.-ს მიმართ /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ტ. ა.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2021 წლის 08 დეკემბერს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ქ. გ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ტ. ა.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ქ. გ. ესწრებოდა 2022 წლის 10 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომას, სადაც დაადასტურა მის მიერ წარმოდგენილ საჩივარში აღწერილი გარემოებები.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2015 წელს, სისხლის სამართლის საქმეზე საადვოკატო მომსახურების მისაღებად მიმართა ადვოკატ ტ. ა.-ს. ქ. გ.-ის განმარტებით, ადვოკატს გააცნო საქმის ვითარება, რის შემდეგაც შეთანხმდნენ, რომ ტ. ა. დაიცავდა ქ. გ.-ის ინტერესებს.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს სრულად გადაუხადა საადვოკატო მომსახურების საფასური - 1000 აშშ დოლარი. ქ. გ.-მ განმარტა, რომ 2015 წლის 12 დეკემბერს ადვოკატს დამატებით გადაუხადა 400 აშშ დოლარი, ერთი კვირის შემდეგ - 600 აშშ დოლარი, ხოლო 2016 წლის 30 ივნისს - 600 ლარი.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა არ აცნობა, რომ სისხლის სამართლის საქმის საწარმოებლად საჭირო იყო ორდერის ამოწერა და 2015 წლის სამ დეკემბერს კლიენტს გააფორმებინა მინდობილობა. ქ. გ.-ის განცხადებით, ადვოკატი ტ. ა. ხუთი წლის განმავლობაში ატყუებდა, რომ მასზე მინდობილ საქმეს აწარმოებდა სისხლის სამართლის მიმართულებით.

1.5 2022 წლის 31 იანვარს, საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა დამატებითი განცხადება, სადაც განმარტა, რომ 2009 წლიდან მისი საქმეები განიხილებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოში სამოქალაქო წესით, სადაც გამოიკვეთა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები. კერძოდ, საჩივრის ავტორის პროცესუალური მოწინააღმდეგე ნ. ვ. - გ. იყენებდა ყალბ დაბადების მოწმობას და საკუთარ თავს წარმოაჩენდა ქ. გ.-ის გერად. ამასთან, 2013 წელს, ნოტარიუსმა ნანი სიდამონიძემ, სამართლის ნორმების გვერდის ავლით, ქ. გ.-ის კუთვნილი უძრავი ქონების წილი გადაუფორმა ნ. ვ. - გ., რაც საჩივრის ავტორისათვის ცნობილი გახდა 2015 წელს, როდესაც სასამართლომ ბათილად ცნო მის მიერ დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება. საჩივრის ავტორის განცხადებით, აღნიშნული საქმეები ადვოკატ ტ. ა.-ს უნდა ეწარმოებინა სისხლის სამართლის მიმართულებით.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ტ. ა.-მ საქმე აწარმოა სამოქალაქო სამართლის მიმართულებით, რაც არ შეესაბამებოდა მისი, როგორც კლიენტის ნებასა და მითითებებს. საჩივრის ავტორმა, მის მიერ 2022 წლის 31 იანვარს წარმოდგენილ განცხადებაში აღნიშნა, რომ სამოქალაქო სამართლის მიმართულებით მას 2009 წლიდან ჰყავდა ადვოკატი აყვანილი, რაც თავიდანვე ცნობილი იყო ადვოკატ ტ. ა.-სათვის.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ტ. ა.-მ არაკეთილსინდისიერად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობები, კერძოდ, კლიენტთან შეთანხმების შესაბამისად, სისხლის სამართლის მიმართულებით არ აწარმოა მასზე მინდობილი საქმე, რის გამოც ითხოვს ადვოკატის დისციპლინირებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ტ. ა.-მ 2022 წლის 02 თებერვალს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც განმარტა, რომ ქ. გ.-ის საჩივარი არის უსაფუძლო, დაუსაბუთებელი და საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს. ადვოკატი ტ. ა. დაესწრო 2022 წლის 17 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომას, სადაც კიდევ ერთხელ დაადასტურა მის მიერ წარმოდგენილ წერილობით ახსნა-განმარტებაში აღწერილი გარემოებები.

2.2 ადვოკატის განმარტებით, 2015 წლის დეკემბრის თვეში მას დაუკავშირდა მისი მეგობარი მანანა ფურცხვანიძე, რომელმაც სთხოვა ქ. გ.-ისათვის სამოქალაქო საქმეებზე კონსულტაციის გაწევა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ქ. გ.-ს შეხვდა მანანა ფურცხვანიძის ოფისში, სადაც გაირკვა, რომ საჩივრის ავტორს თავის გერთან - ნ. ვ. - გ.-თან ჰქონდა სამემკვიდრეო დავა და საქმისწარმოება 2010 წლიდან მიმდინარეობდა სასამართლოში.

2.4 ადვოკატის განმარტებით, სამოქალაქო საქმეზე კონსულტაცია გაუწია ქ. გ.-ს, რის შემდეგაც საჩივრის ავტორმა გამოთქვა სურვილი, რომ ტ. ა.-ს წარმოედგინა მისი ინტერესები და შესთავაზა მას სამოქალაქო საქმისწარმოებაში ჩართულიყო მეორე ადვოკატად.

2.5 ადვოკატის განმარტებით, სისხლის სამართლის საქმის წარმოებაზე ქ. გ.-ს არ შეთანხმებია და კლიენტისგან მიიღო ინფორმაცია, რომ სისხლის სამართლის მიმართულებით საქმეზე 2009 – 2010 წლებში ადვოკატი ბ. ბ. მუშაობდა.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების არსებით პირობებზე, რის შემდეგაც, 2015 წლის 03 თებერვალს ქ. გ.-მ ადვოკატს გაუფორმა მინდობილობა. ადვოკატის განცხადებით, მასსა და ქ. გ.-ს შორის დაიდო წერილობითი ხელშეკრულება, რომელიც დაახლოებით ერთი წლის წინ, კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, საქმის მასალებთან ერთად გადასცა ქ. გ.-ს და მას აღნიშნული ხელშეკრულების ასლი აღარ აქვს, რის გამოც ვერ მოახერხა დოკუმენტის ეთიკის კომისიაში წარმოდგენა.

2.7 ადვოკატის განმარტებით, მისი საქმეში ჩართვის დროს, ქ. გ.-ის მიმართ უკვე არსებობდა რამდენიმე დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მიმდინარეობდა ოთხი სამოქალაქო დავა, რასაც დაემატა მის მიერ შედგენილი სარჩელი ქ. გ.-ის მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით. 2022 წლის 17 თებერვლის სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ ახალ საქმესთან დაკავშირებით, მასსა და ქ. გ.-ს შორის, 2016 წლის 29 ივნისს წერილობითი ფორმით დაიდო მეორე ხელშეკრულება, სადაც განისაზღვრა, რომ ადვოკატ ტ. ა.-ს ქ. გ.-ისათვის საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწია ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში საქმის განხილვისას. ხელშეკრულებაში მითითებული იყო, რომ ქ. გ.-მ ადვოკატს გადაუხადა ჰონორარი - 600 ლარი.

2.8 ადვოკატის განმარტებით, ის ადასტურებს საჩივარში აღწერილ გარემოებას ჰონორართან დაკავშირებით და სადავოდ არ ხდის ჰონორარის მიღების ფაქტს.

2.9 ადვოკატის განმარტებით, მან ყველაფერი გააკეთა კლიენტის ინტერესების დასაცავად, კერძოდ, გამოითხოვა ქ. გ.-ის მიმართ არსებული ყველა სამოქალაქო საქმის მასალები; შეადგინა დაცვის სტრატეგია, სასამართლოში წარადგინა ახალი სარჩელი; ქ. გ.-ის ინტერესებს წარმოადგენდა როგორც საქალაქო, ისე სააპელაციო სასამართლოში; საპროცესო მოქმედებებს ახორციელებდა კლიენტთან შეთანხმებით და სასამართლო სხდომებს ესწრებოდა ქ. გ.-სთან ერთად. ადვოკატის განცხადებით, ქ. გ.-ის საქმეებზე დღემდე მიმდინარეობს სასამართლოში საქმისწარმოება.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ტ. ა. არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება.

3.2 ქ. გ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2021 წლის 08 დეკემბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2015 - 2020 წლებში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ტ. ა.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ტ. ა.-მ მასზე მინდობილი საქმე აწარმოა სამოქალაქო სამართლის და არა სისხლის სამართლის მიმართულებით, რაც არ შეესაბამებოდა კლიენტთან დადებულ შეთანხმებასა და კლიენტის მითითებებს; ადვოკატი ხუთი წელი ატყუებდა კლიენტს, რომ აწარმოებდა სისხლის სამართლის საქმეს.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ტ. ა.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–2 ნაწილი: „ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–6 ნაწილი: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.“

5.3 ეთიკის კომისიამ 2020 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებაში საქმეზე N111/19 განმარტა, რომ „ადვოკატ-კლიენტს შორის ურთიერთობა იწყება მათ შორის შეთანხმების საფუძველზე და ურთიერთობის გაგრძელებასაც მუდამ თან უნდა სდევდეს ურთიერთშეთანხმება, რაც გულისხმობს საადვოკატო მომსახურების გაწევას კლიენტთან შეთანხმებული ფორმით. ადვოკატმა კლიენტის დაცვის სტრატეგია მასთან უნდა შეათანხმოს და მომსახურების პროცესში ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება კლიენტის თანხმობით უნდა განახორციელოს.“

5.4 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები და იმოქმედოს კლიენტის ინტერესების შესაბამისად. ადვოკატი შებოჭილია კეთილსინდისიერების პრინციპით, რაც იცავს კლიენტს ადვოკატის მიერ მისი

უფლებების ბოროტად გამოყენებისაგან. კლიენტს ხშირ შემთხვევაში არ აქვს უნარი დამოუკიდებლად გამოიყენოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები, ხოლო ადვოკატმა სამართლებრივი განათლებით, უნარ-ჩვევებით უნდა უზრუნველყოს კლიენტის კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად დაცვა.

5.5 ადვოკატის მიერ მომსახურების კეთილსინდისიერად გაწევის ვალდებულება არის სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის ერთ-ერთი ძირეული ნორმატიული პრინციპის - კეთილსინდისიერების ვალდებულების (სსკ 8.3 მუხლი), რომელიც ამავდროულად სუბიექტური შემადგენელის მატარებელია, კერძო გამოხატულება. დადგენილი სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, სამართალში არსებობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა კეთილსინდისიერების პრეზუმფცია (სუსგ №ას-589-2019 პარ. 28, შეადარეთ ასევე სუსგ: ას-899-1185-09, ას-1252-1181-2012; ას-23-23-2016). ეთიკის კომისიის აზრით აღნიშნული პრეზუმფცია სრულად გამოსაყენებელია ადვოკატის პროფესიულ საქმიანობის შეფასებისას: „საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად ასრულებს ხელშეკრულებით და პროფესიული წესებით დაკისრებულ მოვალეობებს, ეს განსაკუთრებით ნათელია იმ როლის გათვალისწინებით, რომელიც ადვოკატს და ადვოკატის პროფესიას აქვს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.“ (N089/17, პარ. 6.3.8)

5.6 ,,ადვოკატმა საქმის წარმოებისას კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე, რაც მოიცავს სრული ინფორმაციის დროულად მიწოდებას. კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება საშუალებას აძლევს მას, რომ ჩართული იყოს საქმის მსვლელობის პროცესში. ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან შეათანხმოს საქმისწარმოებისას მის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები.“

5.7 საჩივრის ავტორის პრეტენზიები შეეხება ადვოკატ ტ. ა.-ს მიერ კლიენტის მითითებების შეუსაბამო, არაკეთილსინდისიერ მოქმედებასა და საქმისწარმოებაზე კლიენტისათვის მცდარი ინფორმაციის მიწოდების ფაქტებს. საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება; ადვოკატისათვის 2015 წლის 03 დეკემბერს გაფორმებული მინდობილობა, რომლის მიხედვითაც ადვოკატს ჰქონდა უფლებამოსილება მარწმუნებლის ინტერესები დაეცვა ყველა ინსტანციის სასამართლოში და გადახდის ქვითრები, რაც ადასტურებს, რომ ქ. გ.-მ 2015 წლის 19 დეკემბერს ადვოკატ ტ. ა.-ს გადაუხადა 400 აშშ დოლარი, ხოლო 2016 წლის 30 ივნისს ადვოკატს გადაუხადა საადვოკატო მომსახურების საფასური - 600 ლარი. მხარეები სადავოდ არ ხდიან ქ. გ.-ის მიერ, საჩივარში მითითებულ გარემოებას ჰონორარის ოდენობასა და ადვოკატის მიერ თანხის მიღებაზე.

5.8 საჩივარში აღნიშნულ პრეტენზიებს ადვოკატი უსაფუძვლოსა და დაუსაბუთებელს უწოდებს და აღნიშნავს, რომ ქ. გ.-ის ინტერესების დაცვის მიზნით ყველა სამართლებრივი მოქმედება შეასრულა, კერძოდ, მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოს, დაიწყო ახალი სამართლებრივი დავა კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ და კეთილსინდისიერად გასწია საადვოკატო მომსახურება. ადვოკატის განცხადებით, კლიენტმა თავიდანვე იცოდა, რომ მას საადვოკატო მომსახურება სამოქალაქო საქმეზე უნდა გაეწია, რაც დასტურდება ადვოკატსა და კლიენტს შორის 2016 წელს დადებული საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით.

5.9 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საპროცესო ეტაპზე ფაქტების დადგენა არ ხდება, თუმცა მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მტკიცებულებათა შესწავლის საფუძველზე კოლეგია სადავო ფაქტებს განიხილავს საფუძვლიანი ვარაუდის სტანდარტით. მაშინ როდესაც, მხარეთა ახსნა-განმარტებები ურთიერთგამომრიცხავია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სადაო ფაქტთან შემხებლობის მქონე სხვა მტკიცებულებებს.

5.10 ეთიკის კომისიაში საქმისწარმოება ეფუძნება შეჯიბრებითობის პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ მხარემ თვითონ უნდა წარუდგინოს ეთიკის კომისიას რელევანტური მტკიცებულებები. ეთიკის კომისია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას საქმეზე №2ბ/183-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“ ვინაიდან, ქ. გ.-ს გააჩნია პრეტენზია, რომ ადვოკატმა ტ. ა.-მ მის მიმართ დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ადვოკატთა ქცევის პრინციპები და არაკეთილსინდისიერად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობები, ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი სწორედ მას ეკისრება.

5.11 მოცემულ შემთხვევაში, საპროცესო კოლეგიამ გამოიკვლია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები საფუძლიანი ვარაუდის სტანდარტით. ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი საქმის მასალებით დასტურდება, რომ ადვოკატმა ტ. ა.-მ კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით განახორციელა მთელი რიგი საპროცესო მოქმედებები, კერძოდ, შეისწავლა საქმის მასალები; დასახა სამოქმედო სტრატეგია; განცხადებებით მიმართა სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“, სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა“ და ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივს, რაც დასტურდება როგორც, თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიერ, ადვოკატის მიმართ, 2016 წლის 28 აპრილსა და 2016 წლის 03 და 05 მაისს გაცემული ცნობებით, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის მიერ, 2015 წლის 18 დეკემბერს გაცემული განცხადების მიღების ბარათით; ადვოკატმა ტ. ა.-მ 2016 წლის 24 მარტს წარადგინა შესაგებელი სასამართლოში, საქმეზე №2/5426-16, სადაც მოსარჩელეს წარმოადგენდა ნ. ვ.- გ., ხოლო მოპასუხე იყო ქ. გ.; კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით არაერთხელ მიმართა სასამართლოს, რაც დასტურდება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 28 მაისის განჩინებით, საქმეზე №2/15417-18 და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 05 სექტემბრის გაჩინებით, საქმეზე №2/25968-18.

5.12 საპროცესო ეტაპზე საქმის მოკვლევისას დადგინდა, რომ ადვოკატ ტ. ა.-სა და ქ. გ.-ს შორის 2016 წლის 29 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების შესახებ. ადვოკატის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულებით დასტურდება, რომ ტ. ა.-ს ქ. გ.-ისათვის საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწია ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში საქმის განხილვისას. ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ ადვოკატ ტ. ა.-ს საჩივრის ავტორის ინტერესები უნდა წარმოედგინა სამოქალაქო დავაში, სადაც მოსარჩელე იყო პაატა სამხარაძე, ხოლო

მოპასუხეს წარმოადგენდა ქ. გ.. აღნიშნული ხელშეკრულება ხელმოწერილია ერთის მხრივ ქ. გ.-ის, ხოლო მეორეს მხრივ ადვოკატ ტ. ა.-ს მიერ. აღნიშნული ხელმოწერა წარმოადგენს ქ. გ.-ის ინფორმირებულ თანხმობას, მისი ინტერესების ადვოკატ ტ. ა.-ს მიერ წარმოდგენის თაობაზე. ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ ტ. ა.-ს საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწია სამოქალაქო სამართლის და არა სისხლის სამართლის საქმეზე. ხელშეკრულების საგანი თავიდანვე ცნობილი იყო საჩივრის ავტორისათვის, ვის მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობასაც ადასტურებს ქ. გ.-ის ხელმოწერა და დადასტურებულად მიიჩნევა საჩივრის ავტორის სურვილი გარიგების დადებაზე. საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ თუ კლიენტი არ ეთანხმებოდა ხელშეკრულების არსებით პირობებს - ამ შემთხვევაში ხელშეკრულების საგანს, ხელშეკრულების პირობების გაცნობისას მას ჰქონდა ობიექტური შესაძლებლობა უკმაყოფილება გამოეთქვა და ადვოკატისათვის მოეთხოვა ხელშეკრულების არსებითი პირობის შეცვლა, რაც, ქ. გ.-ს არ გაუკეთებია. შესაბამისად, საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომლის მიხედვითაც ადვოკატი ტ. ა. ხუთი წლის განმავლობაში ატყუებდა კლიენტს; აწვდიდა ინფორმაციას, რომ საქმეს სისხლის სამართლის მიმართულებით აწარმოებდა და მოქმედებდა კლიენტის მითითებების საწინააღმდეგოდ, ეთიკის კომისიისათვის წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება.

5.13 საპროცესო კოლეგიამ დეტალურად შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და წარმოდგენილი მტკიცებულებები. ეთიკის კომისიაში საჩივრის ავტორს მტკიცებულებების წარდგენის საშუალება ჰქონდა საჩივრის წარდგენისას და საპროცესო კოლეგიაში საქმის წარმოების ნებისმიერ დროს, სანამ საპროცესო კოლეგია მიიღებდა გადაწყვეტილებას საქმესთან დაკავშირებით. საჩივრის ავტორს ჰქონდა გონივრული ვადა ეთიკის კომისიისთვის საჩივარში აღწერილი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოსადგენად, მიუხედავად ამისა, გარდა ზოგადი ახსნა-განმარტებისა, საჩივრის ავტორს ეთიკის კომისიისათვის არ წარუდგენია ისეთ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რაც დააკმაყოფილებდა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს და ერთობლივად მაღალი ალბათობით დაადასტურებდა ადვოკატ ტ. ა.-ს მიერ კლიენტისათვის არაკეთილსინდისიერი საადვოკატო მომსახურების გაწევას; კლიენტის მითითებების საწინააღმდეგოდ მოქმედებასა და კლიენტისათვის მცდარი ინფორმაციის მიწოდებას. საპროცესო კოლეგია მხოლოდდამხოლოდ საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტებაზე დაყრდნობით დადასტურებულად ვერ მიიჩნევს ქ. გ.-ის მიერ მითითებულ ფაქტებს. შესაბამისად, საპროცესო კოლეგია დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ვერ დარწმუნდა, რომ ადვოკატმა დაარღვია საადვოკატო მომსახურების კეთილსინდისიერად გაწევის; კლიენტის მითითებების შესაბამისად მოქმედებისა და კლიენტის ინფორმირების ვალდებულებები.

5.14 საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებიდან გამომდინარე არ დგინდება ადვოკატის მიერ ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–2, მე-5 და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებული პროფესიული ქცევის სტანდარტების დარღვევა, რის გამოც, ადვოკატ ტ. ა.-ს მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.15 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე #091/21 ადვოკატ ტ. ა.-ს /სიითი #/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ოთარ კაჭკაჭაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ინგა ბერიძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/